

# საავტორო კინოს კინოთეატრის პროექტი

ნინო დოლიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე კულტურის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იური მღებრიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი, ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის თეორიულ ნაწილში განხილულია საავტორო კინოს მნიშვნელობა უწინ და ახლა და კინოთეატრის, როგორც კულტურული დაწესებულების მნიშვნელობა. ასევე, SWOT ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია კინოგაქირავების მდგომარეობა საქართველოში და მიმოხილულია არსებული კინოთეატრები და კინოკლუბები.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეხება უშუალოდ საავტორო კინოს კინოთეატრის პროექტს და მისი არსებობის აუცილებლობის კვლევას. ამ ნაწილში საუბარია, ჩატარებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის შედეგებსა და პროექტის საჭიროებაზე. ასევე, განხილულია კვლევის საფუძველზე შემუშავებული საავტორო კინოს კინოთეატრის მიზნები და შესაძლებელი საქმიანობა.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** კულტურის მენეჯმენტი, საავტორო კინო, არტჰაუსი, კინოთეატრი, კინოგაქირავება.